სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - ქართველური ენათმეცნიერება

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი - სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე, სრული პროფესორი ვახტანგ იმნაიშვილი.
კონსულტანტი ემერიტუსი დამანა მელიქიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
მიზანი - სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ქართული და საერთოდ, ქართველური ენების სპეციალობის მკვლევარ-ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო და რჩება აღნიშნული სპეციალობის მკვლევართა მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების ძირითად ცენტრად.

პროგრამის შედეგები:

- კურსდამთავრებულს საფუძვლიანად ეცოდინება ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თვისებურებანი, შეძლებს აღნიშნული ენებისა და დიალექტების ლინგვისტურ ანალიზს, ტექსტის ენობრივად გამართვას, კონკრეტული ენისა თუ დიალექტის შესახებ ლინგვისტური გამოკვლევის დაწერას, შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად დაეუფლოს ქართველურ ენებს.
- ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს ლიტერატურული, დიალექტური ტექსტები და ლექსიკონები.
- დოქტორანტი შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას, ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგინოს მონაცემთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ:
წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ ყოფილი თსუ ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული საკანდიდატო თემა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით.
კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

განსაკუთრებული პირობები:
დოქტორანტების მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი სტატიების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში:

1. თუ შეფასება არ აღემატება 10 ქულას, მაძიებელი ამოირიც-ხება დოქტორანტთა სიიდან. მას უფლება აქვს, თავიდან ჩააბაროს დოქტორანტურაში და გაიაროს სადოქტორო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით.

2. თუ წარდგენილი სტატიები შეფასდა უარყოფითად, მაგრამ 11-დან 15 ქულამდე, დოქტორანტს უფლება ეძლევა, ერთი წლის განმავლობაში გადაამუშაოს სტატია, ან თავიდან მოამზადოს ახალი სტატია უარყოფითად შეფასებულის სანაცვლოდ, რათა კიდევ ერთხელ იქნას იგი გაგზავნილი ექსპერტიზაზე.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო კომპონენტი განხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ენის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე.